# დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №51
## 2013 წლის 17 სექტემბერი

## ქ. დუშეთი

### „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ, 28/12/2012, ს/კ190040000.35.152.016102) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 7 693,6 | 10 951,4 | 6 703,0 | 4 248,4 | 12 394,5 | 8 203,9 | 4 190,6 |
| გადასახადები | 2 343,1 | 1 860,1 | 0,0 | 1 860,1 | 1 814,4 | 0,0 | 1 814,4 |
| გრანტები | 4 945,0 | 8 609,7 | 6 703,0 | 1 906,7 | 10 298,2 | 8 203,9 | 2 094,3 |
| სხვა შემოსავლები | 405,5 | 481,6 | 0,0 | 481,6 | 281,9 | 0,0 | 281,9 |
| ხარჯები | 3 982,2 | 3 740,8 | 67,5 | 3 673,3 | 4 488,2 | 348,4 | 4 139,8 |
| შრომის ანაზღაურება | 813,5 | 921,4 | 0,0 | 921,4 | 1 270,0 | 45,3 | 1 224,7 |
| საქონელი და მომსახურება | 1 010,7 | 1 173,5 | 48,1 | 1 125,4 | 1 136,1 | 95,6 | 1 040,5 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 281,3 | 226,4 | 0,0 | 226,4 | 204,8 | 0,0 | 204,8 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუბსიდიები | 975,4 | 1 010,5 | 0,0 | 1 010,5 | 1 338,4 | 59,5 | 1 278,9 |
| გრანტები | 600,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 155,5 | 329,4 | 0,0 | 329,4 | 390,7 | 63,0 | 327,7 |
| სხვა ხარჯები | 145,8 | 79,6 | 19,4 | 60,2 | 148,2 | 85,0 | 63,2 |
| საოპერაციო სალდო | 3 711,4 | 7 210,6 | 6 635,5 | 575,1 | 7 906,3 | 7 855,5 | 50,8 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3 088,9 | 7 501,3 | 6 291,4 | 1 209,9 | 8 844,6 | 8 527,2 | 317,4 |
| ზრდა | 3 417,6 | 7 566,1 | 6 291,4 | 1 274,7 | 8 881,5 | 8 527,2 | 354,3 |
| კლება | 328,7 | 64,8 | 0,0 | 64,8 | 36,9 | 0,0 | 36,9 |
| მთლიანი სალდო | 622,5 | -290,7 | 344,1 | -634,8 | -938,3 | -671,7 | -266,6 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 461,4 | -469,6 | 340,4 | -810,0 | -1 133,6 | -671,7 | -461,9 |
| ზრდა | 461,4 | 340,4 | 340,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 461,4 | 340,4 | 340,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 810,0 | 0,0 | 810,0 | 1 133,6 | 671,7 | 461,9 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 810,0 | | 810,0 | 1 133,6 | 671,7 | 461,9 |
| ვალდებულებების ცვლილება | -161,1 | -178,9 | -3,7 | -175,2 | -195,3 | 0,0 | -195,3 |
| კლება | 161,1 | 178,9 | 3,7 | 175,2 | 195,3 | 0,0 | 195,3 |
| საშინაო | 161,1 | 178,9 | 3,7 | 175,2 | 195,3 | 0,0 | 195,3 |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

“;

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

| | | 2012 წლის ფაქტი | | 2013 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | მათ შორის |

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **8 022,3** | **11 016,2** | **6 703,0** | **4 313,2** | **12 431,4** | **8 203,9** | **4 227,5** |
| შემოსავლები | 7 693,6 | 10 951,4 | 6 703,0 | 4 248,4 | 12 394,5 | 8 203,9 | 4 190,6 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 328,7 | 64,8 | 0,0 | 64,8 | 36,9 | 0,0 | 36,9 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **გადასახდელები** | **7 560,9** | **11 485,8** | **6 362,6** | **5 123,2** | **13 565,0** | **8 875,6** | **4 689,4** |
| ხარჯები | 3 982,2 | 3 740,8 | 67,5 | 3 673,3 | 4 488,2 | 348,4 | 4 139,8 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 417,6 | 7 566,1 | 6 291,4 | 1 274,7 | 8 881,5 | 8 527,2 | 354,3 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 161,1 | 178,9 | 3,7 | 175,2 | 195,3 | 0,0 | 195,3 |
| **ნაშთის ცვლილება** | **461,4** | **-469,6** | **340,4** | **-810,0** | **-1 133,6** | **-671,7** | **-461,9** |

“;

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 12,394.5 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | **7 693,6** | **10 951,4** | 6 703,0 | 4 248,4 | **12 394,5** | 8 203,9 | 4 190,6 |
| გადასახადები | **2 343,1** | **1 860,1** | 0,0 | 1 860,1 | **1 814,4** | 0,0 | 1 814,4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | **4 945,0** | **8 609,7** | 6 703,0 | 1 906,7 | **10 298,2** | 8 203,9 | 2 094,3 |
| სხვა შემოსავლები | **405,5** | **481,6** | 0,0 | 481,6 | **281,9** | 0,0 | 281,9 |

“;

დ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10,298.2 ათასი ლარის ოდენობით

ათასი ლარი

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **4 945,0** | **8 609,7** | **10 298,2** |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** | **0,0** | **12,6** | **0,0** |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **4 945,0** | **8 597,1** | **10 298,2** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **2 415,0** | **1 906,7** | **2 199,3** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 2 340,0 | 1 801,7 | 2 094,3 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 75,0 | 105,0 | 105,0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **2 530,0** | **6 690,4** | **8 098,9** |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 1 410,0 | 4 516,3 | 6 893,5 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1120,0 | 1258,1 | 1 205,4 |
| სქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 0,0 | 900,0 | 0,0 |
| სქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 0,0 | 16,0 | 0,0 |

“;

ე) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4,488.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 3 982,2 | 3 740,8 | 67,5 | 3 673,3 | 4 488,2 | 348,4 | 4 139,8 |
| შრომის ანაზღაურება | 813,5 | 921,4 | 0,0 | 921,4 | 1 270,0 | 45,3 | 1 224,7 |
| საქონელი და მომსახურება | 1 010,7 | 1 173,5 | 48,1 | 1 125,4 | 1 136,1 | 95,6 | 1 040,5 |
| პროცენტი | 281,3 | 226,4 | 0,0 | 226,4 | 204,8 | 0,0 | 204,8 |
| სუბსიდიები | 975,4 | 1 010,5 | 0,0 | 1 010,5 | 1 338,4 | 59,5 | 1 278,9 |
| გრანტები | 600,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 155,5 | 329,4 | 0,0 | 329,4 | 390,7 | 63,0 | 327,7 |
| სხვა ხარჯები | 145,8 | 79,6 | 19,4 | 60,2 | 148,2 | 85,0 | 63,2 |

“;

ვ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8,844.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3 088,9 | 7 501,3 | 6 291,4 | 1 209,9 | 8 844,6 | 8 527,2 | 317,4 |
| ზრდა | 3 417,6 | 7 566,1 | 6 291,4 | 1 274,7 | 8 881,5 | 8 527,2 | 354,3 |
| კლება | 328,7 | 64,8 | 0,0 | 64,8 | 36,9 | 0,0 | 36,9 |

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8,881.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| | |
|---|---|
| | ათასი ლარი |

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 32.2 | 21.9 | 15.1 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 95.0 | 0.0 | 1.2 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3,213.3 | 7,490.5 | 8,822.0 |
| განათლება | 52.3 | 21.8 | 43.2 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 24.8 | 30.6 | 0.0 |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 1.3 | 0.0 |
| სულ ჯამი | 3,417.6 | 7,566.1 | 8,881.5 |

“;

ზ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2 086,4 | 1 671,3 | 1,9 | 1 669,4 | 1 935,7 | 0,0 | 1 935,7 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 793,1 | 1 433,0 | 1,9 | 1 431,1 | 1 730,9 | 0,0 | 1 730,9 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 742,2 | 1 354,1 | 1,9 | 1 352,2 | 1 702,7 | 0,0 | 1 702,7 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 50,9 | 78,9 | 0,0 | 78,9 | 28,2 | 0,0 | 28,2 |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 281,3 | 226,4 | 0,0 | 226,4 | 204,8 | 0,0 | 204,8 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 12,0 | 11,9 | 0,0 | 11,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 702 | თავდაცვა | 40,7 | 47,2 | 0,0 | 47,2 | 66,2 | 66,2 | 0,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 246,3 | 172,8 | 0,0 | 172,8 | 139,5 | 0,0 | 139,5 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 33,0 | 32,1 | 0,0 | 32,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 213,3 | 140,7 | 0,0 | 140,7 | 139,5 | 0,0 | 139,5 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 2 646,6 | 6 613,1 | 5 548,8 | 1 064,3 | 7 618,0 | 7 233,3 | 384,7 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 240,8 | 162,2 | 136,8 | 25,4 | 1 893,1 | 1 782,4 | 110,7 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 240,8 | 162,2 | 136,8 | 25,4 | 1 893,1 | 1 782,4 | 110,7 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1 204,8 | 5 416,6 | 4 389,3 | 1 027,3 | 2 108,6 | 1 876,3 | 232,3 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1 136,0 | 5 332,5 | 4 389,3 | 943,2 | 2 028,6 | 1 876,3 | 152,3 |
| 70453 | სარკინიგზო ტრანსპორტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70454 | საჰაერო ტრანსპორტი | 68,8 | 80,0 | 0,0 | 80,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0,0 | 4,1 | 0,0 | 4,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 1 201,0 | 1 034,3 | 1 022,7 | 11,6 | 3 616,3 | 3 574,6 | 41,7 |
| 705 | გარემოს დაცვა | 174,6 | 244,2 | 0,0 | 244,2 | 179,6 | 0,0 | 179,6 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 174,6 | 224,5 | 0,0 | 224,5 | 179,5 | 0,0 | 179,5 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 0,0 | 19,7 | 0,0 | 19,7 | 0,1 | 0,0 | 0,1 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 798,3 | 1 016,8 | 786,4 | 230,4 | 1 396,0 | 1 179,2 | 216,8 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 81,0 | 19,4 | 19,4 | 0,0 | 1,4 | 0,0 | 1,4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7063 | წყალმომარაგება | 367,6 | 606,7 | 552,6 | 54,1 | 969,4 | 938,3 | 31,1 |
| 7064 | გარე განათება | 349,7 | 343,3 | 203,3 | 140,0 | 425,2 | 240,9 | 184,3 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0,0 | 47,4 | 11,1 | 36,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 60,1 | 27,2 | 0,0 | 27,2 | 31,8 | 31,8 | 0,0 |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 32,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება | 32,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 27,2 | 27,2 | 0,0 | 27,2 | 31,8 | 31,8 | 0,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 538,8 | 526,2 | 0,0 | 526,2 | 782,8 | 231,2 | 551,6 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 176,8 | 195,8 | 0,0 | 195,8 | 414,6 | 231,2 | 183,4 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 348,5 | 321,4 | 0,0 | 321,4 | 362,2 | 0,0 | 362,2 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 11,0 | 9,0 | 0,0 | 9,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 2,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 6,0 | 0,0 | 6,0 |
| 709 | განათლება | 600,4 | 604,9 | 21,8 | 583,1 | 745,6 | 70,9 | 674,7 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 525,7 | 479,1 | 21,8 | 457,3 | 667,0 | 70,9 | 596,1 |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 73,0 | 65,1 | 0,0 | 65,1 | 78,2 | 0,0 | 78,2 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 1,7 | 60,7 | 0,0 | 60,7 | 0,4 | 0,0 | 0,4 |
| 710 | სოციალური დაცვა | 207,6 | 383,2 | 0,0 | 383,2 | 474,5 | 63,0 | 411,5 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 69,2 | 109,2 | 0,0 | 109,2 | 90,0 | 0,0 | 90,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 0,0 | 2,1 | 0,0 | 2,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის | 138,4 | 271,9 | 0,0 | 271,9 | 384,5 | 63,0 | 321,5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სფეროში | | | | | | | |
| | სულ | 7 399,8 | 11 306,9 | 6 358,9 | 4 948,0 | 13 369,7 | 8 875,6 | 4 494,1 |

“;

თ) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

წყალდიდობის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევის პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სახანძრო-ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება, კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სპეციალური ტანსაცმლით უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

გახშირებული სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტი,შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ხელშეწყობას.

1.2ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა მობილიზება და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც დიდთოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის;

2.1.1 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს იგეგმება: ქ. დუშეთში ბაჩანას ქუჩის შესახვევის მოასფალტება, ჭონქაძის თემში, ე.წ „ჯორმუხის“ სამანქანე გზის რეაბილიტაცია, სოფ. მილახვრიანთკარის შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები, ჟინვალის თემის ე.წ. „უნდილაანთ“ უბნის გზის რეაბილიტაცია, ჟინვალის თემის სოფ. ზემო თვალივის გზის რეაბილიტაცია, სოფ. უკანაფშავის გზის რეაბილიტაცია, დაბა ჟინვალში შიდა გზების მოასფალტება, ქ. დუშეთში ბექაურის ქუჩის მოასფალტება, ქ. დუშეთში გ.სააკაძის ქუჩის მოასფალტება, სოფ. გომეწარში შესასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, სოფ. გომეწრის ცენტრში გზის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, სოფ.დოლასქედი-ჯუღისი-ვაშლობის სამანქანე გზის აღდგენა, სოფ. ქვემო კაწალხევში ხიდის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა, ქ. დუშეთში კარიაულთ დასახლებაში: შიდა გზების რეაბილიტაცია, შიდა საუბნო გზის გაყოლებით სანიაღვრე არხების მოწყობა, მოასფალტებული გზის გვერდით ანაკრები სანიაღვრე არხის მოწყობა, სანიაღვრე არხსა და მოასფალტებულ გზას შორის სივრცის შევსება, ფასანაური-კიტოხის საავტომობილო გზის მე-8 კმ-ზე სოფ. მაქართასთან მეწყერისგან გაწმენდა და სოფ. ჩოხამდე გზის რეაბილიტაცია. ასევე გაგრძელდება 2012 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება: სოფ. ბიჩნიგაურების შესასვლელი გზის რეაბილიტაცია და სოფ.ჭართალში წყალამრიდის საფუძვლის, მიწის ვაკისის გამაგრების და ჯიმი გიგაურის კუთვნილი ტერიტორიის მიმდებარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.1.2 საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში საჭიროა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და და ნარჩენების გატანა.

2.2.1 გარე განათების მოწყობა- რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის როგორც ქალაქად, ისე სოფლად, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება,რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია,ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. მიმდინარე წელს იგეგმება:ქ. დუშეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქალაქის შემოსასვლელში), რუსთაველის ქუჩაზე,სოფ. პირმისაან-ვარსიმაანთ მონაკვეთზე, სულიკიანთ დასახლებაში, კობიანთ დასახლებაში, მთვარელიანთ დასახლებაში, კარიაულთკარის დასახლებაში, მილახვრიანთ დასახლებაში გარე განათების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები, ფასანაურის გარე განათება, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის წითელსოფლიდან მლეთამდე მონაკვეთში, გზის განათების სისტემის დაზიანებული განათების ბოძების და მასთან დაკავშირებული ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.დასუფთავების ღონისძიების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს სანაგვე ურნების შესყიდვა.

### 2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე წელს დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის პროგრამის „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში იგეგმება ბაზალეთის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფასანაურში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (ხევშა-ფასანაური), ჭოპორტის თემში ბულაჩაური-ქუბრიაანთკარის სასმელი წყლის მოწყობა, ბაზალეთის თემში, სოფ. ბაზალეთის და სოფ. მლაშის მოსახლეობისათვის სასმელი წაყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის, წყლის მილების შეძენა.ასევე გაგრძელდება 2012 წელს დაგეგმილი გუდამაყრის თემში, სოფ.ლუთხუბში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

### 2.2.4 სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის პროგრამის „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში იგეგმება სოფ. მაღაროსკარში, სოფ. არაგვისპირში ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა და სოფ. მჭადიჯვრის სარწყავი არხის რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია ქ.დუშეთში დუშეთის ხევზე 2 ხიდისა და ნაპირსამაგრის მოწყობა, ფასანაურში ნაპირსამაგრი სამუშაოები, ქ. დუშეთში, დავით აღმაშენებლის და იოსელიანის ქუჩის კვეთაზე სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ბაზალეთის ხევის გაწმენდის („სანახშირის" წყალსაქაჩის მიმდებარედ) სამუშაოები, სოფ. გრიგოლაანთკარის და სოფ. ჩუბინიანთკარს შორის არსებული ანაკრები სანიაღვრე არხის გაწმენდის სამუშაოები.

### 2.2.5 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბაზალეთის პანსიონატის II საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

### 2.3 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 03)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება მ/წელსგამოყოფილი და წინა წელს მიღებული თანხიდან დარჩენილი თანხით შესაბამისისი სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე სხვადასხვა პროექტები.

### 2.4 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

დღევანდელ დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების მშენებლობა, ასევე დიდ მნიშვნელობაენიჭება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას,რისთვისაც საჭიროა ქალაქის გამწვანება, ბაღების და სკვერების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.

### 2.4.1 სპორტული მოედნების, დარბაზების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება:ქვეშეთის თემში, სპორტ-დარბაზის რემონტი.

### 2.4.2 ქალაქის გამწვანება და მისიმოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 04 03)

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნისათვის მეტად მნიშვნელოვანია ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანების ზონაში ყვავილების და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა.

### 2.5 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: 2013 წლის 24 მარტს ძლიერი ქარის შედეგად მოსახლეობის დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისათვის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა და

რეაბილიტაცია 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებში დაბა ფასანაურში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, და 2013 წლის ივნის-ივლისის თვეებში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები: სოფ. გომეწარში გზის მოწყობა და კალაპოტის გაწმენდა, სოფ. გომეწარში გაბიონების მოწყობა, სოფ. გომეწარში ორი ბოგირის და საფეხმავლო ხიდის მოწყობა, სოფ. ციხედავში-შუახევში კალაპოტის და ბოგირების გაწმენდა, სოფ. დოლასქედი-ჯუღისი-ვაშლობში გაბიონების მოწყობა, სოფ. შარახევის გზის რეაბილიაცია-ხევის კალაპოტის გაწმენდა, სოფ. დოლასქედი-ჯუღისი-ვაშლობში გზის მოწყობა და კალაპოტის გაწმენდა, სოფ. ჭართალში გზის მოწყობა და კალაპოტის გაწმენდა, სოფ. კაწალხევში გზის მოწყობა და კალაპოტის გაწმენდა, სოფ. კაწალხევში გაბიონის მოწყობა, სოფ. კაწალხევში ორი ბოგირის და საფეხმავლო ხიდის მოწყობა, უკანაფშავის ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე, ფშავის არაგვის ხეობაში სოფ. თხილიანაში საცალფეხო ხიდის მოწყობა, ორწყლიდან უკანაფშავამდე მდინარე ფშავის არაგვის კალაპოტის გაწმენდა დამბების მოწყობით და სავალი ნაწილის აღდგენა, ორწლიდან უკანაფშავამდე გაბიონების მოწყობა, უკანაფშავის ტერიტორიულ ორგანოში ფშავის არაგვის ე.წ. "ღამეხევას" ხევზე ხიდის რეაბილიტაცია.

**2.6 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)**

დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე, აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა და ზემოაღნუშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

**3.1 დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 528 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 1.50 ლარს. კვების ხარჯების გარდა, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს. ასევე გაგრძელდება 2012 წელს დაგეგმილი სოფ. ბულაჩაურში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის გახსნაც დაგეგმილია 2013 წელს.

**3.2. დუშეთის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ა(ა)იპ მოსაწავლეთა ხელშეწყობის ცენტრისა და მის ფილიალების (მაღაროსკარი, ბარისახოსა და შატილის სკოლა-პანსიონები) ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სკოლა-პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 41-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,40 ლარს, რაც მთლიანად ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ა(ა)იპ „მოსაწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის" და მისი ფილიალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე აფინანსებს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

**4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. ტარდება საერთაშორისო, რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში; ასევე სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში; დუშეთის სპორტულ სკოლას წარმატებები აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივში, ნიჩბოსნობაში. აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

**4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს 2013 წელს 13-16 სექტემბერს ქ. რიგაში (ლატვია) სამბოში, კადეტთა ევროპის პირველობაზე დუშეთის მკვიდრ ვანო ხუბაშვილის სამივლინებო ხარჯებს.

**4.1.2 სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

